„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.04.001.016256) მე-19 მუხლის:
ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საპროკურორო საბჭოს წევრს ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ არსებობს ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“–„ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი, იგი საპროკურორო საბჭოს წევრის სტატუსს ინარჩუნებს ვადის გასვლამდე და მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით.“;

ბ) მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

13 მაისი 2025 წ.

N546-IIმს-XIმპ